აღწერა: სოფლის მოსახლეობის სრული ჩართულობით შერჩეული პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად წარმოდგენილი ისეთი პროექტების დაფინანსება, როგორცაა სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, სოფლის საჭიროებიდან გამომდინარე შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად დამტკიცებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა 116 მეწარმე ფიზიკურ პირთან და 122 ობიექტზე შესრულდა სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები გადანაწილდა შემდეგ კატეგორიებში:

- ხიდების და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა,
- წყლისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება ,
- გარეგანათება და ელგადამცემი ხაზების მოწესრიგება,
- სკვერების და სპორტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა .

მიზანი და შედეგი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოწესრიგებული სხვადასხვა ობიექტები.

1.7 რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება, ორგანიზაციული კოდი 02 06

აღწერა : მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში ადგილობრივი ბიუჯეტის წილი დაახლოებით 5-10%-ს შეადგენს, რომელიც მოიცავს თანადაფინანსებას, სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა ხორციელდება საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად. 2023 წელს შეძენილი იქნა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 7 ობიექტისთვის, მათ შორის:

- საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტები: ივრარის, იელის, ცხუმარის (მეორე ეტაპი), ლახამულისა და ნაკრის სოფლებისთვის.
- იდლიანის ახლად აშენებულ ხიდამდე მისასვლელი გზისთვის
- ზეჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობის მშენებლობისთვის.
- მიმდინარეობს ადიშის საავტომობილო გზისა და იელის ხიდის პროექტირება.

ასევე მომზადდა ხარჯთაღრიცხვები მცირე მოცულობის 15 ობიექტზე პარალელურად მიმდინარეობდა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამის სამსახურს ტენდერზე გასატანად გადაეცა 26 ობიექტის დოკუმენტები.

მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის და ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, შემუშავებული იქნა „იდენტიფიცირებული პირველადი მნიშვნელობის საზღვარეულებების უზენესი კვლევის, მართვის ტექნოლოგიური საშუალებების დადგენისა და ზვავების მართვის სამოქმედო გეგმა“. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ზვავების მართვის ტექნოლოგიურ-ტექნიკური საშუალებების და აუცილებელი აღჭურვილობის შეძენა.

ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის მიზნით დაქირავებული კომპანიის მიერ, 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებზე, ჩატარებული საექსპერტო საზედამხედველო სამუშაოების შედეგად 26 ობიექტზე დაიდო 72 დასკვნა.

მიზანი : მოწესრიგებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა.

2 დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	გეგმა	ფაქტი	% მაჩვენებელი
00	ჯამური	1,634,041.49	1,486,147.57	0.91
2	ხარჯები	1,506,688.00	1,401,290.25	0.93
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	127,353.49	84,857.32	0.67

2.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა მესტიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა გარემოს დასუფთავებასთან და დაცვასთან დაკავშირებით, დასუფთავების სერვისით მომსახურების უზრუნველყოფა: კონტინერების განთავსება საჭირო ადგილებში, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით, დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა. ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა/მტვრისგან განთავისუფლება. ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა. სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში სამსახურს სხვადასხვა სოფლებში დასაქმებული ყავს 450-მდე თანამშრომელი, რომლებიც მუშაობენ ცენტრალური გზის დასუფთავებაზე და წყლის სათავე ნაგებობების და მათი შემოგარენის გაწმენდაზე. ასევე სამსახური მუშაობს დაბა მესტიის შიდა გზებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანი: მესტიის მუნიციპალიტეტის სრულად მოცვა დასუფთავების სერვისით, მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა.

3. განათლება 04 00

04 00	განათლება	გეგმა	ფაქტი	% მაჩვენებელი
00	ჯამური	3,664,927.10	3,633,187.57	0.99
2	ხარჯები	3,581,129.60	3,555,789.57	0.99
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	83,797.50	77,398.00	0.92

3.1 ა(ა)იპი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ორგანიზაციული კოდი 04 01

აღწერა: მესტიის მუნიციპალიტეტში სულ 24 საბავშვო ბაღია. რეგისტრირებულია 444 აღსაზრდელი, სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 195 თანამშრომელი, შტატგარეშე-3 და 32 სოციალური პროგრამით დასაქმებული. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სტანდარტების შესაბამისი გარემოს მომზადება თითოეული საბავშვო ბაღში ავტორიზაციის პროცესების გასაველეად, მეთოდოლოგიის დახვეწა, შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა.) განვითარება. ჰასპის სისტემის დანერგვა ახალ საბავშვო ბაღებში, სახანრო უსაფრთხოების, საგაგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების სავალდებულო ღონისძიებების ჩატარება. საბავშვო ბაღების პერსონალისთვის სატრენინგო მომსახურების შესყიდვა.

მიზანი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ბავშვებში (აღსაზრდელებში) იმ აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ქცევის ნორმების დანერგვა.

3.2 სკოლების თანადაფინანსება ორგანიზაციულ კოდი 04 02

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება

- საჯარო სკოლების თანადაფინანსება.
- მოსწავლეების ტრანსპორტირების.
- საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა.

შედეგად ვიღებთ მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას და სკოლებში გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურას.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	გეგმა	ფაქტი	% მაჩვენებელი
00	ჯამური	3,303,126.74	3,124,051.40	0.95
2	ხარჯები	3,230,451.93	3,080,402.91	0.95
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	72,674.81	43,648.49	0.60
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა			
00	ჯამური	1,104,726.74	1,045,653.69	0.95
2	ხარჯები	1,075,726.74	1,045,653.69	0.97
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	29,000.00		0.00
05 01 01	ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება			
00	ჯამური	1,062,726.74	1,007,796.69	0.95
2	ხარჯები	1,033,726.74	1,007,796.69	0.97
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	29,000.00		0.00

05 01 02	აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა			
00	ჯამური	42,000.00	37,857.00	0.90
2	ხარჯები	42,000.00	37,857.00	0.90
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა			
00	ჯამური	1,308,800.00	1,269,028.64	0.97
2	ხარჯები	1,283,670.00	1,243,924.96	0.97
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	25,130.00	25,103.68	1.00
05 02 01	ბიბლიოთეკების დაფინანსება			
00	ჯამური	135,800.00	135,612.21	1.00
2	ხარჯები	121,800.00	121,637.53	1.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	14,000.00	13,974.68	1.00
05 02 02	ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი"			
00	ჯამური	1,050,000.00	1,013,691.95	0.97
2	ხარჯები	1,048,000.00	1,011,692.95	0.97
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,000.00	1,999.00	1.00
05 02 03	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი			
00	ჯამური	123,000.00	119,724.48	0.97
2	ხარჯები	113,870.00	110,594.48	0.97
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,130.00	9,130.00	1.00
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება			
00	ჯამური	439,600.00	430,138.53	0.98
2	ხარჯები	423,300.00	413,838.53	0.98
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	16,300.00	16,300.00	1.00
05 04	აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ			
00	ჯამური	450,000.00	379,230.54	0.84
2	ხარჯები	447,755.19	376,985.73	0.84
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,244.81	2,244.81	1.00

4.1 აიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი, ორგანიზაციული კოდი 05 01 01

აღწერა: ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და აწვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.

მიზანი: სპორტის არსებული სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია. 2. მომავალი თაობის მასიური ჩართულობა სპორტში.

4.2 აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა, ორგანიზაციული კოდი 05 01 02

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: აქტიური სპორტსმენების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, საზღვრებს გარეთ ასპარეზობის შემთხვევაში მათი ფინანსური მხარდაჭერა.

მიზანი: წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, განვითარება და ხელშეწყობა.

4.3 ა(ა) იპ მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა, ორგანიზაციული კოდი 05 02 01

აღწერა: 2023 წლის ფარგლებში ფუნქციონირებდა -15 საბიბლიოთეკო დაწესებულებაში დასაქმებულია 23 თანამშრომელი. ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ბიბლიოთეკებისთვის სკოლებთან თანამშრომლობა. სამომავლოდ განსაზღვრულია სოფლის ბიბლიოთეკების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა, შრომითი პირობების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება.

2023 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. დედაენის დღე,
2. წიგნის საერთაშორისო დღე,
3. ვაჟა ფშაველას საღამო,
4. შემოდგომის პალიტრა,
5. მთის პოეზია
6. ლიტერატორული შემოდგომა.
7. საგანმანათლებლო საღამო " მთაში ნაბადი გენია".

მიზანი: მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის მიზანია მოსახლეობის განათლება, ინფორმაციის მიწოდება, წიგნიერების დანერგვა.

4.4. ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების (პროგრამული კოდი 05 02 02)

აღწერა: ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრში მესტიის მუნიციპალიტეტის მამულებით ფუნქციონირებს 1 დაბა მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი და 8 ტერიტორიული ერთეულის კულტურის ცენტრი, 2023 წელს შესრულდა შემდეგი ღონისძიებები

- 1) 3 მარტი დედის დღე
- 2) 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
- 3) ზაფხუთა დაცვის საერთაშორისო დღე
- 4) სვანეთობა
- 5) ფესტივალი მთის ფილმები.
- 6) ახალი წელი

მიზანი: კულტურის და ხელოვნების დარგში ჩართული მოქალაქეების რაოდენობის ზრდა.

4.5. ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის“

აღწერა: ორგანიზაციის მიერ 2023 წელს გაიცა „როგორც სასტუმროების და "გესტ-ჰოუზების" ასევე კომერციულ და საზოგადო ნაგებობების პროექტირებისთვის.. ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“

გაწვერიანებულია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოტანილ არქიტექტორული პროექტების დამამტკიცებელ საბჭოში...ცენტრის ძალისხმევით დაბლოკილ იქნა რამოდენიმე შენობა ნაგებობის არქიტექტორული პროექტი, რომლებიც არ ერწყმოდნენ სვანეთის ლანდშაფტურ განაშენიანებას და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები პროექტების კორექტირებისათვის,

ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის“

მიერ დაპროექტდა :

- 1) მულახის თემი, სოფ ცალდაში გოჩა ნავერიანის კომპლექსის რესტავრაციის პროექტი.
- 2) მულახის თემი, სოფ ცალდაში გოჩა ნავერიანის მარჯულის რესტავრაციის პროექტი.
- 3) მულახის თემი, სოფ ცალდაში გოჩა ნავერიანის სახლის და ლალჩის რესტავრაციის პროექტი.
- 4.) მულახის თემი, სოფ ჭოლაში ჟორჯოლიანების კომპლექსის რესტავრაციის პროექტი.
- 5) სოფ აცი-გოჩა კვებლიანის კომპლექსის რესტავრაციის პროექტი.
- 6) სოფ აცი-ჯემალ ხორგუანის კომპლექსის რესტავრაციის პროექტი.
- 7) სოფ იელი ეგგენი ფანგანის კომპლექსის რესტავრაციის პროექტი.
- 8) სოფ იელი ვაში ხვიბლიანის კომპლექსის რესტავრაციის პროექტი.

- 9) სოფ ნაკრა ფუსდის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი.
- 10) სოფ ნესგუნი-გიორგი გულედანის კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 11) სოფ ლახუში მურადი ფირცხელანის კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 12) სოფ ლახუში ბესიკ ფირცხელანის კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 13) სოფ ლახუში გიორგი ასუმბანის კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 14) სოფ ლატალი წერედიანების კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 15) სოფ ზურაბი ფარჯიანის კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 16) სოფ ლატალი გირგვლიანების კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 17) სოფ მულახი გიგანების კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 18) სოფ დაუბერი დადვანების კოშკის რესტავრაციის პროექტი.
- 19) სოფ დაუბერი ლამარიას კოშკის რესტავრაციის პროექტი.

ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრმა“

შეისწავლა და ადგილზე გაეცნო მოსახლეობისგან შემოსულ წერილებს ავარიულ ძეგლებთან დაკავშირებით, შესაბამისად შემოსულ წერილებს სათანადო აღწერილობით (დეფექტური აქტებით) გადევნა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს შესასწავლად და შემდგომი რეაგირებისთვის, მოსახლეობიდან შემოსულ განცხადებების შესწავლა გაცნობის შედეგად შემუშავდა პრიორიტეტული ძეგლების სია რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებლივ რესტავრაციას,

ასევე გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს შესასწავლად და შემდგომი სათანადო რეაგირებისთვის:

- 1.სოფ. ადიში ბადრი ქალდანის კოშკი, 2.სოფ შუკვერში-ნოდარ ივეჩიანის კოშკი
- 3.მულახი გიგანების სვანური კომპლექსი 4. უშგული სიმონ ნიჟარაძის მარუბი 5 უშგული რეჯიბ ნიჟარაძის მარუბი. 6. უშგული გიორგი ნიჟარაძის მარუბი. 7. უშგული რაულ ნიჟარაძის მარუბი. 8). უშგული ზამირ რატიანის მარუბი . 9. ლატალი გენადი ფარჯიანის მარუბი. 10.მესტია ბექა ჩართოლანის მარუბი.

ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“მა აწარმოა მონიტორინგი სარესტავრაციო საკონსერვაციო სამუშაოებზე:

- 1)სოლის ნათლისმცემლის ეკლესია.
2. სოფ წვირმი-როზია ფანგანის კოშკის რესტავრაცია.
- 3) სოფ წვირმი-გიგლემიანების კოშკის რესტავრაცია. 4. სოფ აცი-გია კვებლიანის კოშკის რესტავრაცია.
5. სოფ სოლი-ჯიშმერ შუკვანის კოშკის რესტავრაცია.
6. სოფ სოლი-გიახაფთანის კოშკის რესტავრაცია.
7. სოფ სოლი-ხორგუანების კოშკის რესტავრაცია.
8. სოფ ნესგუნი-ლაშა გულედანის კოშკის რესტავრაცია.
9. სოფ ნესგუნი-მიშა გულედანის კოშკის რესტავრაცია.
10. მულახი გოჩა ნავერიანის კოშკის და მარუბის რესტავრაცია.

ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“მა ჩაატარა წინა საპროექტო კვლევითი სამუშაოები სოფელ უშგულის 16 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე.

4.5 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება,ორგანიზაციული კოდი 05 03

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: „მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელთა თანადაფინანსება“ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფინანსდება ყველა პირველკურსელი, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგან ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში. 2023 წელს დაფინანსდა 72 სტუდენტი. სვანეთის მასშტაბით ხორციელდება სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციები. რის შედეგადაც ვლინდება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები. "ეტალონი" საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული, ინოვაციური საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტია, რომელშიც ცართულია მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლები, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭედა, „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, სადაც ჩართულია საქართველოს მასშტაბით 1600-ზე მეტი სკოლა, „გემოფესტი 2023“ გასტრონომიული ფესტივალი, კალას ადმინისტრაციულ ერთეულში „ხალდეობა“ დღესასწაულის აღნიშვნა.

მიზანი: მომავალ თაობის განათლებაზე ზრუნვა. მოსწავლეებში განათლების ხელშეწყობა, მოტივაციის გაზრდა და წახალისება, ტურისტული პოტენციალის გაზრდა.

4.6 სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია, ორგანიზაციული კოდი 05 04

აღწერა: „შანლანდი“ უზრუნველყოფს ტურისტული სეგმენტისთვის სვანეთის კულტურული და ტრადიციული პროდუქტების მიწოდებას, რაც აძლევს მომხმარებლებს საშუალებას აირჩიოს და გაეცნოს იმ ტურისტულ ადგილებს, პროდუქტებს, მიმართულებებს რაც მათთვის იქნება საინტერესო. ორგანიზაცია ატარებს საინფორმაციო აქტივობებს, იწვევს ინფლუენსერებს და მათი მეშვეობით სვანეთის ღირსშესანიშნაობებს აცნობს სხვა ქვეყნებს.

მიზანი: არსებული კულტურის და ხელოვნების დარგების შენარჩუნება, განვითარება, მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა, ტურისტული პროდუქტის შექმნა და მომხმარებლებისათვის მიწოდება.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	გეგმა	ფაქტი	% მარჯვენა
00	ჯამური	1,485,222.00	1,472,039.41	0.99
2	ხარჯები	1,475,272.00	1,462,089.41	0.99
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,950.00	9,950.00	1.00
06 01	მოსახლეობის ჯანდაცვის ხელშეწყობა			
00	ჯამური	547,825.00	544,579.40	0.99
2	ხარჯები	537,875.00	534,629.40	0.99
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,950.00	9,950.00	1.00
06 01 01	აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვა			
00	ჯამური	93,175.00	90,732.00	0.97
2	ხარჯები	93,175.00	90,732.00	0.97
06 01 02	მესტიის სავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება			
00	ჯამური	454,650.00	453,847.40	1.00
2	ხარჯები	444,700.00	443,897.40	1.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,950.00	9,950.00	1.00
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა			
00	ჯამური	600,502.00	598,013.26	1.00
2	ხარჯები	600,502.00	598,013.26	1.00
06 03	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება			
00	ჯამური	181,895.00	180,500.00	0.99
2	ხარჯები	181,895.00	180,500.00	0.99

06 05	შპს პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება			
00	ჯამური	103,000.00	98,736.77	0.96
2	ხარჯები	103,000.00	98,736.77	0.96
06 06	ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა			
00	ჯამური	52,000.00	50,209.98	0.97
2	ხარჯები	52,000.00	50,209.98	0.97

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ორგანიზაციული კოდი 06 01 01

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

1. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა (ვაქცინების მიწოდება ამცრელ დაწესებულებებში, ანგარიშგება, მონიტორინგი)
2. ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა (ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სტრატეგიული შრატების და ვაქცინების მიწოდება, ანგარიშგება და მონიტორინგი შემსრულებელ დაწესებულებასთან).
3. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა (კომბინირებული ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, მონიტორინგი).
4. ახალი კორონავირუსული დაავადების Covid 19 მართვის სახელმწიფო პროგრამა(ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, კონტაქტების მიდევნება)
5. C ჰეპატიტის და აივ-ინფექცია/შიდსის მართვის პროგრამა(ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, დადებითი შედეგების მიდევნება)
6. განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების მიდევნება.
7. გადამდები და არაგადამდები დაავადებების მეთვალყურეობა (ტუბერკულოზი, ბ ჰეპატიტი, დიარა, ჰიპერტენზია და ა.შ.).

2023 წელს გამოვლინდა:

ტუბერკულოზის საექვო შემთხვევა 16

დადასტურებული შემთხვევა 1,

ლაიმის დაავადება-4,

ციჰეპატიტი-1,

ლეპტოსპიროზი -1,

ბრუცელიოზის საექვო შემთხვევა -3,

ჩუტყვაილი -4.

მიზანი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა დაავადებების პრევენცია, ავადმყოფობის გამოვლენის შემცირება.

5.2 შპს მესტიის საავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება, ორგანიზაციული კოდი 06 01 02

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქირურგის დაქირავება, განთავსება. მოგვხსენებათ მესტია გეოგრაფიულად საკმაოდ შორსაა ქალაქისგან და ამავე დროს არის ტურისტული ზონა, სადაც სათხილამურო სეზონია და ხშირი არის ტრავმირებული მოქალაქეების მიღების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე აუცილებელია ადგილზე შეემლოს მოსახლეობას ტრავმატოლოგიის მომსახურების მიღება. მერამ გაითვალისწინა რა საკუთარი მოქალაქეების ინტერესი გამოყო თანხები აღნიშნულის დასაფინანსებლად.

მიზანი: მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

5.3 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა ორგანიზაციული კოდი 06 02

აღწერა 2023 წელს:

1. სოციალურად დაუცველის, შპს. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის მქონე მარტოხელა ხანდაზმულების (საპენსიო ასაკის მქონე) სოციალური დაცვის კატეგორიით დახმარება გაეწია -192 განმცხადებელს -96 000 ლარის ოდენობით;
2. ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია - 182 განმცხადებელს - 97 000 ლარის ოდენობით;
3. ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება/დაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია - 56 განმცხადებელს - 32 070.63 ლარი ოდენობით;
4. მარჩენალდაკარგული ოჯახების (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით დახმარება

გაეწია - 18 განმცხადებელს - 5 400 ლარის ოდენობით;

5. ხანდაზმულების (90 წელი და ზემოთ) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია - 49 განმცხადებელს - 14 700 ლარი ოდენობით;

6. ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია - 25 განმცხადებელს - 1 250 ლარის ოდენობით;

7. ახალშობილების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარები კატეგორიით დახმარება გაეწია - 119 განმცხადებელს - 30 950 ლარი ოდენობით;

მრავალშვილიან (არასრულწლოვანი ხუთი შვილი და ზემოთ) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია - 24 განმცხადებელს 12 400 ლარის ოდენობით;

9. დიალიზით მოსარგებლე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარები კატეგორიით დახმარება გაეწია - 8 განმცხადებელს - 16 000 ლარის ოდენობით;

10. ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარები კატეგორიით დახმარება გაეწია - 21 განმცხადებელს - 20 980 ლარის ოდენობით;

11. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარები კატეგორიით დახმარება გაეწია - 25 განმცხადებელს - 2 500 ლარის ოდენობით;

12. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით - 4 განცხადებს - 2000 ლარის ოდენობით;

13. გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე სარიტუალო მომსახურებისთვის, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია - 4 განმცხადებელს - 1 000 ლარის ოდენობით;

14. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების კატეგორიით - 0 განცხადება

15. სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული– დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი დაფინანსება/თანადაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია - 364 განმცხადებელს - 156 608.99 ლარის ოდენობით;

16. მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) თანადაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია - 107 განმცხადებელს - 87 854.68 ლარის ოდენობით;

17. სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის, შეფასების და თერაპიების (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, არტ. თერაპია და სხვა) დაფინანსება/თანადაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია - 14 განმცხადებელს - 14 684 ლარის ოდენობით;

18. C ჰეპატიტით დაავადებულთა სამედიცინო კვლევების ერთჯერადი თანადაფინანსების კატეგორიით - 0 განცხადება

19. სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გემურ ენდოსკოპიური გამოკვლევის ერთჯერადი თანადაფინანსების კატეგორიით - 0 განცხადება

20. 0-დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით სამედიცინო კვლევების ერთჯერადი თანადაფინანსების კატეგორიით - 0 განცხადება;

21. კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების კატეგორიით - 0 განცხადება;

5.4 სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება, ორგანიზაციული კოდი 06 03

აღწერა: პროგრამა ეხება სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ სტიქიით (ხანძარი) დაზარალებული ოჯახების დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია - 97 განმცხადებელს

5.5 უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა ორგანიზაციული კოდი 06 04

უსახლკაროების საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის კატეგორიით - 0 განცხადება

მიზანი: პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

5.6 შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება ორგანიზაციის კოდი 06 05

აღწერა :პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 6-დან 18 წლამდე ასაკის საშუალო და მსუბუქი ინტელექტუალური სფეროს დარღვევის, ასევე, ქცევითი დარღვევით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებისთვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები; სამიზნე

ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური, შემენებითი, ემოციური, ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებაში ფუნქციონირების ყოველდღიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. სერვისის მიწოდების დროს ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც არის სტანდარტის შესაბამისად სამი კომპონენტის შემცველი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში 2023 წლის პერიოდში ორგანიზაცია ემსახურებოდა შინ მოვლის პროგრამით 35 ბენეფიციარს, დღის ცენტრში 9 ბენეფიციარი დაფიქსირდა.

მიზანი: მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა.

5.7 ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა ორგანიზაციული კოდი 06 06

აღწერა, 2023 წელს აღნიშნული პროგრამიდან :

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების კატეგორიით დახმარება გაეწია 109 (189 ბენეფიციარი) ოჯახს ,
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების, მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსების კატეგორიით დახმარება გაეწია 52 (94 ბენეფიციარზე) ოჯახს ,
- სილატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში 1000 ლარიანი დახმარება გაეწია 22 ოჯახს,
- 43 (137 ბენეფიციარი) განცხადება განხილვის პროცესშია.

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 01 00

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვასა და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება .ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:სარეზერვო ფონდი,შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები,კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. , მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

ორგანიზაც. კოდი	დასახელება	გეგმა წლის	ხარჯი	შესრულება წლის (%)
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება			
00	ჯამური	7,014,967.00	6,867,820.95	0.98
2	ხარჯები	6,482,054.00	6,335,553.95	0.98
2.1	შრომის ანაზღაურება	2,639,196.00	2,620,439.66	0.99
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	250,803.00	250,159.00	1.00
33	ვალდებულებების კლება	282,110.00	282,108.00	1.00
33.1	საშინაო კრედიტორები	282,110.00	282,108.00	1.00
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო			
00	ჯამური	1,443,350.00	1,427,133.89	0.99
2	ხარჯები	1,324,850.00	1,308,633.89	0.99
2.1	შრომის ანაზღაურება	896,350.00	895,040.76	1.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	118,500.00	118,500.00	1.00
01 02	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია			
00	ჯამური	5,092,855.00	4,964,598.64	0.97
2	ხარჯები	4,960,552.00	4,832,939.64	0.97
2.1	შრომის ანაზღაურება	1,641,860.00	1,624,847.90	0.99
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	132,303.00	131,659.00	1.00

01 04	წინა პეროდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი			
00	ჯამური	360,217.00	359,507.00	1.00
2	ხარჯები	78,107.00	77,399.00	0.99
33	ვალდებულებების კლება	282,110.00	282,108.00	1.00
33.1	საშინაო კრედიტორები	282,110.00	282,108.00	1.00
01 04 02	მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა			
00	ჯამური	359,517.00	359,507.00	1.00
2	ხარჯები	77,407.00	77,399.00	1.00
33	ვალდებულებების კლება	282,110.00	282,108.00	1.00
01 04 03	სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები			
00	ჯამური	700.00		0.00
2	ხარჯები	700.00		0.00
01 05	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა			
00	ჯამური	118,545.00	116,581.42	0.98
2	ხარჯები	118,545.00	116,581.42	0.98
2.1	შრომის ანაზღაურება	100,986.00	100,551.00	1.00